MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS
OF DENMARK

ხონის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია 2019-2022წწ.

ხონი, თავისუფლების მოედანი №6
ტელ: 0 (495) 22 25 55
ელ-ფოსტა: khonismeria@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.khoni.gov.ge
Facebook: fb.me/ხონის-მუნიციპალიტეტის-მერია-City-Hall-Of-Khoni-Municipality

სარჩევი

შესავალი ----------3

1. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია მიზანი,ამოცანები და პრინციპები -----5
2. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის შემუშავების პროცესი----6
3. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიული პრიორიტეტები -----8
4. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, მონიტორინგი და შეფასება ----------10

შესავალი

„OGP“ - ღია მმართველობის პარტნიორობა აშშ-ისა და ბრაზილიის პრეზიდენტების ერთობლივი ინიციატივაა, რომელიც მათ 2011 წელს 8 ქვეყნის ინიციატივად დააფუძნეს. ინიციატივა მთავრობებისა და სახელისუფლებლო შტოების მეტ გამჭვირვალობას გულისხმობს. პარტნიორობის მონაწილე ქვეყნის მთავრობები იღებენ ვალდებულებას, მოქალაქეებისათვის იყვნენ უფრო ღია და გახსნილი, ჩართონ ისინი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხელმისაწვდომი და კომფორტული გახადონ სახელმწიფო სერვისები. აღებული ვალდებულებების შესრულების ხარისხით განისაზღვრება ქვეყნის წარმატება „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ფარგლებში.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც 2011 წელს სურვილი გამოთქვა ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) წევრი გამხდარიყო და აეღო მთავრობის ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის ვალდებულება. ქვეყანამ უკვე გაატარა არაერთ მნიშვნელოვანი რეფორმა შემუშავებული სამი სამოქმედო გეგმის (2012-2013, 2014-2015, 2016-2017) შესაბამისად.

ამჟამად, საქართველო ახორციელებს რიგით მეოთხე 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმას. დოკუმენტი ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა.

2016-2017 წლების OGP საქართველოს სამოქმედო გეგმის ინოვაციური კომპონენტი იყო მუნიციპალიტეტების/თვითმმართველობების ჩართულობა. სამოქმედო გეგმაში პირველად ჩაერთო 5 მუნიციპალიტეტი, როგორც განცალკევებული, დამოუკიდებელი კომპონენტი. 2018-2019 წლების განახლებული სამოქმედო გეგმით გაიზარდა ჩართული მუნიციპალიტეტების რაოდენობა, რამაც შედეგად მოგვცა 11 მუნიციპალიტეტი, რომელსაც OGP-ს ვალდებულებები აქვს აღებული.

რადგან მუნიციპალიტეტები ყოველწლიურად განკარგავენ მნიშვნელოვანი რაოდენობის საბიუჯეტო სახსრებს, ამ რესურსის გამჭვირვალე და სამართლიანი გამოყენება ეროვნული სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, კერძოდ, გამჭვირვალობისა და კარგი მმართველობის გაძლიერება მუნიციპალიტეტებში. ამ მიმართულებით არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა არის მუნიციპალიტეტებში იმ სტრატეგიული დოკუმენტების არარსებობა, რომლებიც აანალიზებს/აფასებს გამოწვევებს/საფრთხეებს, პოულობს გამოსავალს და განსაზღვრავს ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის პრინციპების გაძლიერებისთვის საჭირო აქტივობებს.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია შედგება ოთხი ნაწილისაგან: 1)სტრატეგიული დოკუმენტების მიზანი, ამოცანები, პრინციპები და შემუშავების პროცესი; 2) სტრატეგიის დოკუმენტის პრიორიტეტები, 3) დოკუმენტების მონიტორინგის მექანიზმი; 4) სტრატეგიის იმპლემენტაციის სამოქმედო გეგმა.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებსა და სპეციალურ მეთოდოლოგიას, რომელიც შემუშავებული იქნა UNDP პროექტის ფარგლებში და ხორციელდება არაერთ ევროპულ ქვეყანაში.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია განახლებადი დოკუმენტია და

მისი განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი ცვლილებების შეტანა. სტრატეგიის განახლების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ანგარიშები, შეფასებები, მონიტორინგისა და კვლევების შედეგები.

ხონის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის საფუძველზე ხონის მერია შეიმუშავებს და დაამტკიცებს სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იქნება კონკრეტული ნაბიჯები სტრატეგიაში იდენტიფიცირებული მიზნების მისაღწევად, მათი შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები/ორგანიზაციები, რისკები, ფინანსური რესურსის წყარო და განხორციელების ვადები. სამოქმედო გეგმა განახლდება ხონის მერიის მიერ ყოველწლიურად.

1. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის მიზანი, ამოცანები და პრინციპები

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის მთავარი **მიზანია** გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების ერთიანი პოლიტიკის შექმნა, მუნიციპალური მმართველობის ორგანოთა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდით საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და ჩართულობა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის ჩამოყალიბება.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიის **ამოცანებია:**

- მუნიციპალიტეტის სამსახურების კეთილსინდისიერების, ღიაობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების განმტკიცება;
- გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების პროცესში სამოქალაქო სექტორის მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების თაობაზე საზოგადოებრივი ინფორმირებულობის გაზრდა.

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკის განხორციელება უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ **პრინციპებს/მიდგომებს:**

ანგარიშგება და კეთილსინდისიერება: ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურების ანგარიშგება და გამჭვირვალობა ხელს უწყობს კორუფციული პრაქტიკის აღმოფხვრასა და მის პრევენციას. შესაბამისად, აქცენტი უნდა გაკეთდეს პასუხისმგებელ უწყებებში პოლიტიკის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალობის გაზრდაზე, ანგარიშვალდებულების პრინციპების დანერგვასა და დისკრეციული უფლებამოსილების დაბალი ხარისხის უზრუნველყოფაზე.[1]

მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომა: გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს კორუფციის გამომწვევი ფაქტორებისა და რისკების შესწავლას, განხორციელებული ღონისძიებების ანალიზსა და წინა სტრატეგიული დოკუმენტების

[1] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კორუფციის პრევენციის შესახებ კონვენცია (2003), მუხლი 5;
გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, „ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების სახელმძღვანელო“ (2003), გვ. 57-58.

შესრულების შეფასებას.[2]

შედეგზე ორიენტირებული მიდგომა: გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვისას დასახული უნდა იყოს რეალისტური მიზნები და მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კონკრეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებული საბაზისო/არსებული მონაცემები, რომელიც შემდგომ ღონისძიებების შედეგების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.[3]

სამოქალაქო სექტორის ჩართულობა: ეფექტიანი გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების პოლიტიკა მოითხოვს თანამშრომლობას სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ბიზნეს სექტორს შორის. ამასთან, სამოქალაქო სექტორის მონაწილეობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებაში, არამედ მათი შესრულებისა და მონიტორინგის, სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში.[4]

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა: სტრატეგიის შემუშავების, განხორციელების პროცესში გათვალისწინებულ იქნას ადამიანის უფლებები (ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ჩართულობა და სხვ.)

2. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები შემუშავებულ იქნა გაეროს განვითარების პროგრამის UNDP პროექტის ,,დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელწყობა ადგილობრივ დონეზე" ფარგლებში დაქირავებული კონსულტანტების ფასილიტაციითა და მუნიციპალიტეტის თანამშრომლობით OGP-ის სტანდარტების შესაბამისი და UNDP-ს მეთოდოლოგიის (Guide to Corruption-Free Local Government)[5] პრინციპებზე დამყარებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების გზით.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტების შემუშავების პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

1. მუნიციპალური სერვისების შეფასება და სიტუაციური ანალიზის დოკუმენტის შემუშავება;
2. იდენტიფიცირებული სტრატეგიული პრიორიტეტების შეთანხმება და ვალიდიზაცია;
3. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის, ასევე მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო დოკუმენტის სამუშაო ვერსიების შემუშავება;

[2] ანტიკორუფციული სტრატეგიების შესახებ კუალა ლუმპურის შეთანხმება (2013).
[3] გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, „ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების სახელმძღვანელო" (2003), გვ. 43.
[4] ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, „კორუფციის აღმოფხვრის საუკეთესო გამოცდილება" (2004), გვ. 188; დამატებით იხილეთ: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, კორუფციის პრევენციის შესახებ კონვენცია (2003), მუხლი
[5] https://www.localizingthesdgs.org/library/486/Guide-To-Corruption-Free-Local-Government.pdf

4. სტრატეგიული დოკუმენტების საჯარო განხილვები და დამტკიცება.

ზემოხსენებულ ოთხივე ეტაპზე ჩართული იყო მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო სექტორი - ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების რეგიონული ფილიალები. ისინი მონაწილეობას იღებდნენ როგორც საინფორმაციო შეხვედრებში, ისე პროექტით განსაზღვრულ კვლევაში, პრიორიტეტების იდენტიფიცირებაში და სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

3. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიული პრიორიტეტები

გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების მტკიცებულებებზე დაფუძნებული ეფექტური პოლიტიკის შექმნის მიზნით, ხონის მუნიციპალიტეტში ჩატარებული მუნიციპალური სერვისების შეფასების კვლევის დოკუმენტის საფუძველზე, გამოვლინდა შემდეგი სამი პრიორიტეტი:

1. მუნიციპალური სერვისების გამჭვირვალობისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

გრძელვადიანი მიზანი: ადგილობრივი თვითმმართველობის სერვისების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მიღწევა, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებით, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდით

არსებული მდგომარეობა:
ხონის მუნიციპალიტეტს აქვს ვებ-გვერდი[6] და ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი[7]. მუნიციპალიტეტში გამოდის ოთხი გაზეთი: „ხონი“, „თაობა“, „თანადგომა“, ,,ათინათი”. ფუნქციონირებს ტელეკომპანია ,,მეგა -ტვ”-ის წარმომადგენლობა.

ხონის მუნიციპალიტეტს არ აქვს მოქალაქეთა მისაღები და არც ცხელი ხაზის ნომერი. ამ ეტაპზე ვებ-გვერდზე მითითებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამშრომელის ნომერი, რომელიც საჯარო ინფორმაციის გაცემაზეა პასუხისმგებელი. მუნიციპალური სერვისების თაობაზე ინფორმაციის მიღება ტელეფონით/დისტანციურად ხელმიუწდომელია.

2013 წლიდან ყველა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია პროაქტიულად გამოაქვეყნოს საჯარო ინფორმაცია და შეიმუშავოს ინფორმაციის ელექტრონული წესით მოთხოვნისთვის საჭირო მექანიზმი; ამასთან, ამავე წელს სამოქალაქო და სამთავრობო სექტორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლის დანართი მოიცავს

[6] http://www.khoni.gov.ge/ge
[7] https://www.facebook.com/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%90-City-Hall-Of-Khoni-Municipality-561380547210987/

პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხას.[8] ასევე, 2013 წლის სექტემბერიდან მოქალაქეთა პორტალზე - www.my.gov.ge, ინტეგრირებულ იქნა საჯარო ორგანიზაციებთან ელექტრონული კომუნიკაციის სერვისი, რაც საჯარო ინფორმაციის ელექტრონული გამოთხოვის შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2019 წლის ეროვნული შეფასების შედეგების მიხედვით, შეფასების 100%-იან შკალაზე ხონის მუნიციპალიტეტმა მოაგროვა 18%, რაც სხვა მუნიციპალიტეტების მიერ აღებული შეფასების საშუალო მაჩვენებელზე (28%) მკვეთრად დაბალია, ასევე შეფასებული 64 მუნიციპალიტეტიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსით მუნიციპალიტეტი 50-ე ადგილზეა.[9]

ამოცანები:

1. **მუნიციპალური სერვისების გამჭვირვალობისა და ღიაობის გაზრდა;**

2. **ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების გაძლიერება**

2.ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება

გრძელვადიანი მიზანი: ეფექტიანი, გაჭვირვალე, ანგარიშვალდებული, მაღალ ხარისხზე ორიენტირებული, პოლიტიკურად ნეიტრალური და პროფესიულ სტანდარტებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმის შექმნა

არსებული მდგომარეობა: 2014 წლიდან დღემდე საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში განხორციელებულმა ღონისძიებებმა მკვეთრად გააუმჯობესა სისტემის ფუნქციონირება. შემუშავდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შეეხო საჯარო სამსახურში ღია კონკურსის საფუძველზე თანამშრომელთა აყვანას, გამარტივდა კონკურსის გამოცხადებისა და განაცხადის გაკეთების პროცესი, ასევე შეიქმნა საჯარო სამსახურის დასაქმების პორტალი www.hr.gov.ge , დაინერგა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების ელექტრონული სისტემა www.declaration.gov.ge , ასევე მამხილებელთა დაცვის პრაქტის გაუმჯობესების მიზნით შექმნა ელექტრონული სისტემა www.mkhileba.gov.ge .
ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წლის მაისის მონაცემებით, დასაქმებულია 127 თანამშრომელი (აქედან 3 პოლიტიკური თანამდებობის პირი, 106 საჯარო მოხელე, 18 ხელშეკრულებით აყვანილი პირი). ეს ციფრი არ მოიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ააიპ-ებსა და შპს-ებში დასაქმებული პირების თაობაზე. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 ა(ა)იპ, მათ შორის კომუნალური სერვისები, სასაფლაო, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, სოციალური, სპორტის, ტურიზმისა და კულტურის მიმართულებებით.

დღემდე გამოწვევას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების

[8] „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ 2013 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილება №219.
[9] http://www.lsgindex.org/ge/cityanalyse/viewcityanalyse/78/?est_obj_id=2

კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებების შეფასებისა და მათი მომზადება/გადამზადების საკითხების სტანდარტიზაცია და თანმიმდევრული განხორციელება.

ამოცანები:

1. მერიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება;

2. მუნიციპალიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობა.

3.სოციალური პოლიტიკის შემუშავება და განვითარება

გრძელვადიანი მიზანი: ეფექტიანი, გამჭვირვალე, მაღალ ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებული გრძელვადიანი სოციალური პროგრამების შექმნა, დანერგვა და განვითარება.

არსებული მდგომარეობა: ხონის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა ხორციელდება მერიის სოციალური სამსახურის მეშვეობით, რომლის შემადგენლობაშიც შედის სამსახურის უფროსის, განყოფილების უფროსისა და ოთხი სპეციალისტი. სოციალური სამსახური ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და მის მთავარ ფუნქციას მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამების ადმინისტრირება წარმოადგენს. ადგილობრივი სოციალური პროგრამები ძირითადად ავსებენ სახელმწიფო პროგრამებს და უმეტეს შემთხვევაში ცენტრალური პროგრამების მსგავსად ეფუძნება ერთჯერად ფულად გასაცემელს. საყურადღებოა ადგილობრივი სოციალური პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია. ადგილობრივი სოციალური პოლიტიკა, ძირითადად, წინა წლებში ბენეფიციართა მომართვიანობას ეფუძნება და პროგრამებიც შემოსულ განცხადებებში მითითებული საჭიროებების მიხედვით განისაზღვრება. მუნიციპალიტეტში აღნიშნულ პროცესში მოსახლეობის ჩართულობის და საჭიროებათა კვლევის პრაქტიკა არ არსებობს, რაც გამოწვეულია შეზღუდული ფინანსური რესურსებით. ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იმერეთის რეგიონში ერთ-ერთი ყველაზე მწირია და 7 239 000 ლარს შეადგენს.[10]

ხონის მუნიციპალიტეტისთვის გამოწვევად რჩება ბენეფიციარების საჭიროებების კვლევა და მონაცემთა ბაზის ფორმირება. ეს პრობლემა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რომლის მოგვარებაშიც ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად არასამთავრობო სექტორი და მოსახლეობა უნდა ჩაერთოს. ასევე, ერთი-ერთი გამოწვევაა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ნაკლები ჩართულობა. ბუნებრივია, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მოქალაქეთა მხრიდან ინტერესის გამოხატვა და მონაწილეობის მიღება ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვისა თუ სოციალური პროგრამების შემუშავების პროცესში, თუმცა მეორე მხრივ, საჭიროა მუნიციპალიტეტის მხრიდან მეტი ძალისხმევის მიმართვა მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად. გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ახალი დონორების, დამატებითი რესურსების მოძიების პრაქტიკის დანერგვა, რაც არაერთი მნიშვნელოვანი ადგილობრივი საკითხის გადაჭრას შეუწყობს ხელს და გააუმჯობესებს მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობას.

ამოცანები:

[10] http://www.khoni.gov.ge/pictures/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1_2017-2018_%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%902.pdf

1. სოციალური საჭიროებების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის ფორმირება და ელ-ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

2. არსებული სოციალური პროგრამების გადახედვა და საჭიროებაზე დაფუძნებული პროგრამების შექმნა;

3.სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში.

4. გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია, მონიტორინგი და შეფასება

გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის მშენებლობის პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ სტრატეგიული დოკუმენტების არსებობასა და შემუშავების პროცესზე, არამედ მათი შესრულების ხარისხზე და ამ მიმართულებით მიღწეულ შედეგებზე.[11]

სტრატეგიული დოკუმენტების მონიტორინგი და შეფასება მიზნად ისახავს შეაფასოს გამჭვირვალე და კეთილსინდისიერი მმართველობის მშენებლობის სტრატეგიითა და მისი შესრულების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების იმპლემენტაციის პროცესი, ასევე მიღწეული შედეგები, მათი ეფექტიანობა და გამოავლინოს არსებული ხარვეზები.

მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი უნდა მოიცავდეს შემდეგ სამ კომპონენტს: **1) პროგრესის შესახებ ანგარიში; 2) მონიტორინგის ანგარიში; 3) შეფასების ანგარიში**.

სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელია შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახური. ამასთან, თითოეულ სამსახურში გამოყოფილია საკონტაქტო პირი, რომელიც სრულად არის ინფორმირებული შესაბამისი სამსახურის სამოქმედო გეგმით დაკისრებული ვალდებულებების შესახებ და პასუხისმგებელია მათი შესრულების თაობაზე წლიური ანგარიშების მომზადებაზე. სამსახურების მიერ მომზადებული ანგარიშები წარედგინება ხონის მერს.

[11] □□□□□□□ □□□□□, „□□□□□□□□□□□□□□□ □□□□□□□□□□ □□□□□□□□□□□ □□ □□□□□□□□□□□□□□“ (2013), □□. 51.